ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 199

“ 22 ” ივლისი 2016 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლებაში, მუხრან მაჭავარიანის ქუჩის მიმდებარედ არსებული 296 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.10.18.006.121) და ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლებაში, ზონა II-ში მდებარე 803 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.10.18.006.071) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის და დაინტერესებულ კომპანიასთან - შპს „მმბ“-სთან (ს/ნ №205047741) გასაფორმებელი შესაბამისი ხელშეკრულების პროექტის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული დანართის „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლებაში, მუხრან მაჭავარიანის ქუჩის მიმდებარედ არსებული 296 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.10.18.006.121) და ქ. თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლებაში, ზონა II-ში მდებარე 803 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.10.18.006.071) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის და დაინტერესებულ კომპანიასთან - შპს „მმბ“-სთან (ს/ნ №205047741) გასაფორმებელი შესაბამისი ხელშეკრულების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 6 ივლისის №26.25.583 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლებაში, მუხრან მაჭავარიანის ქუჩის მიმდებარედ არსებული 296 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.10.18.006.121) და ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლებაში, ზონა II-ში მდებარე 803 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.10.18.006.071) საპრივატიზებო საფასურით 21000 ლარი, გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე, შპს „მმბ“-ს (ს/ნ №205047741) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, დიღმის მასივი, V კვ. კორპუსი 10-ის მიმდებარედ არსებული 405 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.13.03.001.001) უფლებრივად უნაკლო სახით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართის სახით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი